ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2921895

ნომერი: AR1450836

თარიღი : 23.10.2016

გაცემის თარიღი : 14.11.2016

გაცნობის თარიღი : 15.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელაანის , N 60 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჩხეიძე პ/ნ 09001000335
- ვაზისუბნის დას. კორპ7,ბინა 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 23 ოქტომბრის №AR1450836 განცხადებით მომართა ალექსანდრე ჩხეიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მელაანის ქუჩა №60-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.08.072.015) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის, საცხოვრებელი ფართობის, ავტოსადგომის ფართობის, დამხმარე ფართობის და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 2440.4 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი დაფიქსირდეს 1639.8 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი დაფიქსირდეს 299 კვ.მ, დამხმარე ფართობი დაფიქსირდეს 104.6 კვ.მ, ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი დაფიქსირდეს 242.3 კვ.მ.

სამსახურმა 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:2440.4, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:1639.8, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:299, დამხმარე ფართობი (კვ.მ).:104.6, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:242.3. სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 სექტემბრის №2821865 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.